



## ინფორმაცია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის მე-2 ნახევრის სასამართლო პრაქტიკის შესახებ

1. შესავალი
2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული დარღვევების შესწავლა-ანალიზი:
  - 2.1 მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები
  - 2.2 ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საკასაციო საჩივრების განხილვისას დაშვებული დარღვევები
3. დასკვნა

### 1. შესავალი

მიმდინარე წლის მე-2 ნახევარში სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ სააპელაციო სასამართლოების განაჩენების გამო საკასაციო საჩივრით შემოსულ საქმეებზე დასაშვებობა შეამოწმა 99 პირის მიმართ, აქედან: საქმეები 76 პირის მიმართ შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, ხოლო 23 პირის მიმართ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან.

დასაშვებობა შემოწმებული საქმეებიდან 61 პირის მიმართ საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დაუშვებლად, ხოლო 4 პირის მიმართ არ იქნა განხილული.

დაშვებული საქმეებიდან განხილულია საკასაციო საჩივარი 34 პირის მიმართ, აქედან: 27 პირის მიმართ საქმეები შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან (აღნიშნულ საქმეებზე სააპელაციო საჩივრები განხილულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 17, ბოლნისის რაიონული სასამართლოს 1, გორის რაიონული სასამართლოს 6, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 1, სიღნაღის რაიონული სასამართლოს 1 და ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს 1 საქმეზე), ხოლო 7 პირის მიმართ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან (აღნიშნულ საქმეებზე საჩივრები განხილულია ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 3, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2 საქმეზე).

**განხილვის შედეგად:** გაუქმდა გამამართლებელი განაჩენი და გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი 3 პირის მიმართ 2 საქმეზე (2-ვე საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან);

გაუქმდა გამამტყუნებელი განაჩენი და გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი 2 საქმეზე (1 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 1 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან);

უცვლელად დარჩა გადაწყვეტილება 7 პირის მიმართ 5 საქმეზე (1 საქმე 1 პირის მიმართ შემოსულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან, 4 საქმე 6 პირის მიმართ – თბილისის სააპელაციო სასამართლოდან);

შეიცვალა კვალიფიკაცია და სასჯელი 3 საქმეზე (3-ვე საქმე შემოსულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან);

შეიცვალა განაჩენი 13 საქმეზე (ცამეტივე საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან), აქედან 9 საქმეზე განაჩენი შეიცვალა სასჯელის ნაწილში, 4 საქმეზე – შესამაბისობაში მოვიდა ახალ კანონთან;

ამნისტიის საფუძველზე შეიცვალა სასჯელი 4 საქმეზე (3 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 1 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან);

ამნისტიით გათავისუფლდა 2 საქმეზე 2 პირი (1 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 1 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან).

## **ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საკასაციო საჩივრით განხილულ იქნა 719 საქმე,**

საიდანაც: 58 საქმე განუხილველი დარჩა საჩივრის უკან გათხოვის გამო;

1 საჩივარი დარჩა განუხილველი ვადის დარღვევის გამო;

588 გადაწყვეტილება დატოვებულია უცვლელად;

სასჯელი შეიცვალა 31 საქმეზე (28 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 3 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან);

განაჩენი შეიცვალა 41 საქმეზე (39 საქმე შემოსულია თბილისის სააპელაციო სასამართლოდან, 2 საქმე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან).

## **2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების შესწავლა-ანალიზი**

### **2.1 მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები**

საკასაციო პალატის 26.07.2013 წლის განაჩენით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 28.01.2013 წლის გამამართლებელი განაჩენი და გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 20.11.2012 წლის გამამტყუნებელ განაჩენზე).

**საკასაციო პალატამ განმარტა**, რომ ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს გ. გ-ასა და გ. ს-ის ქმედებაში სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის შესახებ და აღნიშნა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ხელშეკრულების დადებისას მოქმედებს მხარეთა კეთილსინდისიერების პრინციპი, რაც გულისხმობს მხარეთა ვალდებულებას, ერთმანეთს მიაწოდონ ინფორმაცია არსებული დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა. საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით კი დადგენილია, რომ სადავო ფართი მ. კ-ის მიერ გ. გ-ასა და გ. ს-საგან შეძენის მომენტში არ იყო უფლებრივად უნაკლო, ანუ დატვირთული იყო იპოთეკით, რაც გ. გ-მ და გ. ს-მა არ გაუხილეს მყიდველს – მ. კ-ს, მოიპოვეს მისი ნდობა, დაარწმუნეს იმაში, რომ უძრავი ქონება უფლებრივად უნაკლო იყო, რითაც შეცდომაში შეიყვანეს, მოატყუეს და ხელშეკრულების გაფორმების გზით მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ მის კუთვნილ, დიდი ოდენობით ფულად თანხას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის განაჩენით გ. გ-ა და გ. ს-ი ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა (საქმე №52აპ-13 26.07.2013).

**საკასაციო პალატის 31.10.2013 განაჩენით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.03.2013 წლის გამამართლებელი განაჩენი და გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი** (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი რუსთავის საქალაქო სასამართლოს 14.02.2013 წლის გამამტყუნებელ განაჩენზე).

**საკასაციო პალატამ დადგინილად მიიჩნია**, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მ. ჭ-მ ხ. ზ-ის ნდობა ბოროტად გამოიყენა და შეცდომაში შეყვანით მის კუთვნილ ფულად თანხას დაეუფლა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, კერძოდ: მ. ჭ-მ მოიპოვა ხ. ზ-სა და მისი ოჯახის ნდობა, დაარწმუნა, რომ ბიზნეს საქმიანობიდან ამოღებული ფულით მალევე დაუბრუნებდა ვალს, რითაც შეცდომაში შეიყვანა და მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა მის კუთვნილ, დიდი ოდენობით ფულად თანხას. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მ. ჭ-მ არა მხოლოდ თანხის დაუფლების მომენტში, არამედ შემდეგაც განაგრძობდა ხ. ზ-ის მოტყუებას, რაც დასტურდება საქმის მასალებით.

ამრიგად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მ. ჭ-ის ქმედებაში სახეზეა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა (საქმე №83აპ-13 31.10.2013).

**საკასაციო პალატის 25.10.2013 წლის განაჩენით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 02.04.2013 წლის გამამტყუნებელი განაჩენი და გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი** (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი სიღნაღის რაიონული სასამართლოს 25.12.2012 წლის გამამტყუნებელ განაჩენზე).

**საკასაციო პალატამ განმარტა:** საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული მატერიალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის შესაბამისად, აუცილებელია დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი პირის მიერ ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა არ დასტურდება ის, რომ ბ. ზ-ის მიერ განხორციელებულმა ქმედებამ გამოიწვია ა. გ-ის ჯანმრთელობის იმ ხარისხის დაზიანება, რაც მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა. ამიტომ, ვინაიდან არ დადგინდა მიზეზობრივი კავშირის არსებობა ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, არ არსებობს დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი კომპონენტი - ქმედების შემადგენლობის ნიშანი, ანუ პირის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციასთან. ასეთი კავშირის დაუდგენლობის შემთხვევაში კი პირს არ შეიძლება დამდგარი შედეგი ბრალად შეერაცხოს, რადგან არ არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. შესაბამისად, ყოველივე ზემოთქმული გამორიცხავს ბ. ზ-თვის საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით

გათვალისწინებული დანაშაულებრივი შედეგის ბრალად შერაცხვის სამართლებრივ შესაძლებლობას (საქმე №87აპ-13 25.10.2013).

საკასაციო პალატის 25.12.2013 წლის განაჩენით გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 17.05.2013 წლის გამამტყუნებელი განაჩენი და ზ. მ-ის მიმართ გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 14.02.2013 წლის გამამტყუნებელ განაჩენზე). საკასაციო პალატის იმავე განაჩენით დ. მ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

**საკასაციო პალატამ განმარტა:** მართალია, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ ზ. მ-მ დ.მ-სთან ერთად გარდაცვლილის გვამი გადაიტანა საფეხმავლო გზიდან მოშორებით, რათა დაეფარათ დ. მ-ის მიერ ჩადენილი დანაშაული და შეექმნათ უბედური შემთხვევის - კლდიდან გადავარდნის იმიტაცია, მაგრამ, ვინაიდან საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია ფაქტი იმის შესახებ, რომ დ. მ-მ ჩაიდინა მ. ა-ის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა, ანუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე დანაშაული (ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე), ზ. მ-ის მიმართ სახეზე არ გვაქვს დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი კომპონენტი - ქმედების შემადგენლობის ელემენტი (პირის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციასთან), რადგან საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლის მიხედვით, დასჯადია მხოლოდ მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვა (საქმე №104აპ-13 25.12.2013).

საკასაციო პალატის 30.09.2013 წლის განაჩენით ცვლილება შევიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.03.2013 წლის განაჩენში, სასჯელის ნაწილში (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი გორის რაიონული სასამართლოს 29.11.2012 წლის განაჩენზე).

**საკასაციო პალატამ განმარტა:** 2013 წლის 14 მაისიდან სამოქმედოდ მიღებული „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის კანონით დადგენილი, სსკ-ის 59-ე მუხლის ახალი რედაქციის მე-3 ნაწილისა და ამავე კანონით სსკ-ის 414-ე მუხლზე დამატებული მე-8 ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშნისას, კანონით გათვალისწინებული ალტერნატივებიდან სასამართლო უფლებამოსილია, ჩადენილი ქმედების სიმძიმის, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგის, მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, სასჯელი დანიშნოს ერთ-ერთი, რომელიმე პრინციპის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე გ. ო-სთან მიმართებით პალატამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მას პირველი ნასამართლობა ჰქონდა არასრულწლოვანების ასაკში ჩადენილი დანაშაულისათვის, ხოლო სსკ-ის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის დასადგენად მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა 18 წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, რის გამოც მას საბოლოო სასჯელი დაუნიშნა ახალი რედაქციის სსკ-ის

59-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, ვინაიდან ამ შემთხვევაში კანონი იმპერატიულად ადგენს სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებას (საქმე №86აპ-13 30.09.2013).

ანალოგიური საქმეები: №51აპ-13 9.07.2013; №73აპ-13 24.07.2013; №63აპ-13 26.09.2013; №78აპ-13 2.10.2013; 75აპ-13 21.10.2013.

ცვლილება შევიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 31.01.2013; 07.03.2013; 12.02.2013; 29.03.2013; 14.03.2013 წლის განაჩენებში.

განაჩენები მიღებულია შემდეგი პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ: დმანისის რაიონული სასამართლო 08.05.2007; თბილისის საქალაქო სასამართლო 10.07.2012; 14.12.2012; 21.11.2012; გორის რაიონული სასამართლო 13.09.2012.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 10.04.2013 წლის განაჩენიდან ამოირიცხა მითითება გორის რაიონული სასამართლოს 16.06.2011 წლის განაჩენით განსაზღვრული სასჯელის ამნისტიის საფუძველზე შემცირებისა და სასჯელის საბოლოო ზომის განაჩენთა ერთობლიობით დანიშვნის შესახებ (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს 25.10.2011 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა: განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნისას, პირველი ინსტანციის სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, სასჯელი დაედგინა განაჩენთა ერთობლიობით, რადგან წინა განაჩენი (გორის რაიონული სასამართლოს 16.06.2011 წლის განაჩენი) გამოტანილი იყო ბრალდებულის დაუსწრებლად. შესაბამისად, წინა დანაშაულისათვის სამართალწარმოება არ იყო დასრულებული. ამდენად, არც სააპელაციო პალატა იყო უფლებამოსილი, წინა სასჯელი შეემცირებინა ამნისტიის საფუძველზე და საბოლოო ზომა განაჩენთა ერთობლიობით განესაზღვრა, თუნდაც ამის სამართლებრივი საფუძველი (წინა განაჩენის გასაჩივრებაზე უარი) საქმის სააპელაციო წესით განხილვისას გამოვლენილიყო (საქმე №93აპ-13 21.10.2013).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.01.2013 წლის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ: მსჯავრდებული გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდისაგან (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 22.08.2012 წლის განაჩენზე).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ გ. ვ-ის მიმართ, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის დანიშვნისას გათვალისწინებული არ ყოფილა მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობა, კერძოდ, ის, რომ გ. ვ-მ რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (საქმე №46აპ-13 30.07.13).

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 27.03.2013 წლის განაჩენით მსჯავრდებულ რ. დ-ქს რაიონული სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, „ამნისტიის შესახებ“ ამავე კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 19.03.2012 წლის განაჩენზე).

**საკასაციო პალატამ განმარტა:** „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის შესაბამისად, პირს უნდა შეუმცირდეს დანიშნული სასჯელი და არა - მისი მოუხდელი ნაწილი (საქმე№76აპ-13 30.09.2013).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და 26.03.2013 წლის განაჩენის დადგენის შემდეგ დაზარალებულმა ს. ღ-მა განცხადებით მიმართა სასამართლოს, რასაც დაურთო სანოტარო აქტით დამოწმებული ხელწერილი, რომლის მიხედვითაც, იგი თანახმაა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები მასთან დაკავშირებულ ეპიზოდში გავრცელდეს მსჯავრდებულ ც. ძ-ზე (სააპელაციო სასამართლოს განხილული ჰქონდა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 26.12.2012 წლის განაჩენზე).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.10.2013 წლის განაჩენით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-11 მუხლის თანახმად, ამ ეპიზოდში მსჯავრდებული გათავისუფლდა დანიშნული სასჯელისაგან (საქმე№85აპ-13 17.10.2013).

## **2.2 ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საკასაციო საჩივრების განხილვისას დაშვებული დარღვევები**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.05.2013 წლის განაჩენით სააპელაციო სასამართლომ შუამდგომლობის განხილვისას მსჯავრდებულს დანაშაულთა ერთობლიობით ნაწილობრივი შეკრების პრინციპით განუსაზღვრა სასჯელი.

**საკასაციო სასამართლომ მიუთითა,** რომ საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების შემთხვევაში - ერთი სასჯელი შთანთქავს მეორეს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელების ნაწილობრივ ან სრულად შეკრება შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში.

სსკ-ის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის.

საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულმა თ. ბ-მა წინა განაჩენით დადგენილი დანაშაული ჩაიდინა არასრულწლოვან ასაკში, რის გამოც მისი დანაშაულებრივი ქმედება არ წარმოადგენს რეციდივს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს 17.10.2013 წლის განაჩენით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.05.2013 წლის განაჩენი შეიცვალა მსჯავრდებულის სასიკეთოდ და მას სასჯელი განესაზღვრა დანაშაულთა ერთობლიობით შთანთქმის პრინციპის გამოყენებით (საქმე№62აგ-13 17.10.2013).

დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით შთანთქმის პრინციპის გამოყენებით სასჯელის დანიშვნის ანალოგიური საქმეებია: №113აგ-13 9.10.2013; №270აგ-13 28.10.2013; №161აგ-13 28.11.2013; №158აგ-13 21.11.2013; №137აგ-13 21.10.2013; №64აგ-13 30.10.2013; №313აგ-13 28.10.2013; №144აგ-13 25.10.2013; №64აგ-13 77.10.2013; №345აგ-13 29.11.2013; №499აგ-13 29.11.2013; №329აგ-13 28.11.2013; №332აგ-13 27.11.2013; №190აგ-13 27.11.2013; №338აგ-13 22.11.2013; №205აგ-13 6.11.2013; №196აგ-13 20.11.2013; №187აგ-13 18.11.2013;

№404აგ-13 6.11.2013; №213აგ-13 4.11.2013; №391აგ-13 6.11.2013; №291აგ-13 15.11.2013; №276აგ-13 5.11.2013; №169აგ-13 04.12.2013; №207აგ-13 20.12.2013; №209აგ-13 04.12.2013; №214აგ-13 13.12.2013; №260აგ-13 19.12.2013; №283აგ-13 12.12.2013; №308აგ-13 17.12.2013; №334აგ-13 04.12.2013; №371აგ-13 25.12.2013; №375აგ-13 04.12.2013; №419აგ-13 11.12.2013; №451აგ-13 26.12.2013; №645აგ-13 27.12.2013; №636აგ-13 17.12.2013; №818აგ-13 13.12.2013; №984აგ-13 24.12.2013; №1033აგ-13 25.12.2013.

განაჩენები მიღებულია შემდეგი სასამართლოების მიერ: ქუთაისის სააპელაციო სასამართლო 25.06.2013; 21.06.2013; 17.06.2013; თბილისის სააპელაციო სასამართლო 7.06.2013; 29.05.2013; 28.05.13; 25.06.2013; 27.05.2013; 30.05.2013; 27.05.2013; 27.05.2013; 4.07.2013; 12.06.2013; 7.06.2013; 18.06.2013; 20.06.2013; 10.06.2013; 27.05.2013; 22.05.2013; 19.06.2013; 31.05.2013; 7.06.2013; 17.06.2013; 22.05.2013; 31.05.2013; 23.05.2013; 17.06.2013; 07.06.2013; 04.06.2013; 17.06.2013; 28.06.2013; 12.06.2013; 13.06.2013; 17.06.2013; 12.06.2013; 17.06.2013; 02.06.2013; 09.07.2013; 26.07.2013; 23.07.2013.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს 20.05.2013 წლის განაჩენი გ. ა-ს მიმართ არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების ჯარიმასთან მიმართებით უცვლელად დატოვების ნაწილში კანონიერია და არ არსებობს მისი შეცვლის სამართლებრივი საფუძველი.

**საკასაციო პალატამ განმარტა:** სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი-მე-7 ნაწილებით გათვალისწინებული საბოლოო სასჯელის დანიშვნის წესი არ ვრცელდება დამატებით სასჯელებზე, რომელთათვისაც განსხვავებული პრინციპია (მხოლოდ შეჯამების შესაძლებლობა) დადგენილი იმავე მუხლის მე-8 ნაწილით, კერძოდ: „დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობის დროს ძირითად სასჯელთან ერთად შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სასჯელი. შეჯამებისას დანიშნული საბოლოო დამატებითი სასჯელის ზომა არ უნდა აღემატებოდეს ამ სასჯელის მოცემული სახისათვის ამ კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ზომას“ (საქმე№316აგ-13 19.12.2013).

### 3. დასკვნა

წინამდებარე ინფორმაციიდან გამომდინარე ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოების განაჩენების გამო 2013 წლის მე-2 ნახევარში საკასაციო საჩივრით შემოსულ საქმეებზე:

– გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ორი გამამართლებელი განაჩენი და გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. ორივე საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი დადგა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით;

– ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის დაუდგენლობის გამო გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 02.04.2013 წლის გამამტყუნებელი განაჩენი და გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი;

– საქმეზე ერთი მსჯავრდებულის მიმართ სსკ-ის 375-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებისა და გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ იმავე საქმეზე მეორე მსჯავრდებულის მიმართ კვალიფიკაციის შეცვლით (109-ე მუხლის 116-ე მუხლით) სახეზე აღარ იყო დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი ელემენტი;

ამასთანავე, დაშვებული დარღვევები გამოწვეული იყო:

– „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის დარღვევით, კერძოდ, პირს შეუმცირდა სასჯელის მოუხდელი ნაწილი და არა დანიშნული სასჯელი;

– საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის დანიშვნისას მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებლობით;

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი-მე-7 ნაწილებით გათვალისწინებული საბოლოო სასჯელის დანიშვნის წესი არ ვრცელდება დამატებით სასჯელებზე.

**სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა  
და განზოგადების განყოფილება**